



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვიპატოსი

ვიპატოსი, ი პ ა ტ ო ს ი(Ypatos), ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, თავდაპირველად შეესაბამებოდა გვიანდელი რომაული ხანის „კონსულის“ ტიტულს, მაგრამ უკვე აღრებისანტიურ ხანაში დაკარგა მნიშვნელობა და შედარებით დაბალ წოდებად გადაიქცა თანამდებობის გარეშე. IX-X სს-ში შემოღებულ იქნა „ფილოსოფოსთა ვ-ის“ ტიტული, რ-იც ენიჭებოდა მოხელეს, მეცნიერს პუმანიტარული დარგის გამგებელს კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლაში. ვ-ის ტიტულს ზოგჯერ ანიჭებდნენ ვასალურ სახელმწიფოთა წარჩინებულ, მაგრამ არა უმაღლესი რანგის გამგებლებს. VI-VII სს-ში ჰვრის მონასტრის წარწერების მიხედვით, ვ-ს ტიტული პქონდა ქართლის ერისმთავრის, სტეფანობის ძმას – დემეტრეს და შვილს – ადარნასეს (ერისმთავრად გახ-დომამდე).

ლიტ.: ლაპიდარული წარწერები, I. ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980 ; b r e h i e r L., Les institutions de l'Empire Bysantin, წგ.: Le monde Bysantin, v.2, P., 1948.